რევაზ ლორთქიფანიძე
Revaz Lordkipanidze
Реваз Лордкипанидзе

კომენტარები ეკონომიკური კონკურენციისა და ადამიანის გამდიდრების ქრისტიანული საფუძვლის საკითხებზე

The Comments on the Issues of the Christian Basis of a Economic Competition and Human's Enrichment

Комментарии к вопросам Христианской основы экономической конкуренции и обогащения человека

თბილისი
2015

მსოფლიო მეურნეობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალიზაციით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის – რევაზ ლორთქიფანიძის შრომა "კომენტარები ეკონომიკური კონკურენციისა და ადამიანის გამდიდრების ქრისტიანული საფუძვლის საკითხებზე" წარმოადგენს წმიდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით დაწყებული კვლევების გაგრძელებას.

განკუთვნილია ეკონომიკის ქრისტიანულ-ზოგადთეორიული საფუძვლებისა და თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალისტების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი დ. ჩლაიძე

რეცენზენტები:

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ს. ფეტელავა;

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადადემიის აკადემიკოსი რ. სარჩიმელია.

ISBN 978-9941-0-8343-3 (PDF)

კომენტარები ეკონომიკური კონკურენციისა და ადამიანის გამდიდრების ქრისტიანული საფუძვლის საკითხებზე

ეძღვნება ყველა ხალხის მეგობრობასა
და ტერორისტების გაკეთილშობილებას

Посвящается дружбе всех народов и
облагоразумению террористов

Dedicated to the friendship of the all Peoples
and becoming to well-minded of terrorists

უფალი "ახალი აღთქმით" გვმოძღვრავს, რომ "იფხიზლეთ, ვინაიდან არ იცით არც დღე, არც საათი, როდის მოვა კაცის ძე" [29, გვ. 7], რაც ადამიანის (მ.შ. მეწარმის) წინასწარ გააზრებულ (დაგეგმილ) და აუცილებლობით (და არა სიძუნწით) გამოწვეულ - დაზოგილი შემოსავლებით გარანტირებულ საქმიანობას უკავშირდება. მიუხედავად აღნიშნულისა, სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირია ზოგიერთი გაუთვითცნობიერებელი და ზოგჯერ უღირსი ოპონენტის კრიტიკა კონკურენციისა და ეკონომიკური თეორიის მისამართით, თითქოს ისინი მეწარმეს უბიძგებენ ჯიბრის, პირველობისა და მოგების წყურვილით გამოწვეული ამპარტავნებისა და მომხვეჭელობისაკენ, რაც იმას ნიშნავს, რომ არც კონკურენცია და არც ეკონომიკური თეორია არ გვჭირდება. არადა ეს ასე არ არის და ოპონენტების ამგვარი ლოგიკა ადამიანის გადაგვარებასა და გაუსაქმურებას იწვევს მხოლოდ. ჩემს შრომებს [მ.შ. იხ. 29-33] თუ გადახედავთ, იქ შესაძლოდ დადასტურებულია საპირისპირო, მ.შ. ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლების, კონკურენციის, სიღარიბის დაძლევისა და ადამიანის გამდიდრების საკთხებზე.

მკითხველმა იცის, რომ უფლის მადიდებელი კაცი ვარ და ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია ადამიანის გაღმერთება და მლიქვნელობა და მოურიდებლად მითქვამს ძალზე კრიტიკულიც უდიდესი „ავტორიტეტებისათვისაც“ კი, თუ ეს საჭიროა და არა

თავის გამოჩენის მიზნით. მაგრამ, როცა სათქმელია, როგორც მაცხოვარი სიყვარულისა და სიმშვიდისაკენ მოგვიწოდებს, საქებარიც უნდა ვთქვათ ისეთ მაგალითებზე, რაც დაპირისპირებულთა მეგობრობასაც პოლიტიკურად შეაკავშირებს და ხალხთა ეკონომიკურ კეთილთღეობასაც მწვავედ აუცილებელ სალბუნად მოედება. ყოველთვის ოპტიმისტურ კეთილგანწყობას ქმნის იმის შეგრძნება, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოზე იდიდესი მადლია, რომ მრავალმხრივი ნიჭიერების უწმინდესი ილია II ურთულესი საერთაშორისო კრიზისების ეპოქაში უკვე ათწლეულებია [1] საიმედოდ მიუძღვის ქართველ მრევლს, რომელიც უფლის ჭეშმარიტი გზისაკენ მასობრივად მობრუნდა. ეს ჭეშმარიტი გზა ერთადერთია, მაგრამ სხვადასხვა ადამიანი და ხალხები ამ ჭეშმარიტებას სხვადასხვაგვარად აღიქვამენ და ეს განსხვავებები, სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად ძალზე მტკივნეულ დაპირისპირებებში გადადის. ამ ფონზე, ნამდვილად ძალზე გასახარია, რომ საქართველოს მსოფლიოში ცნობილი მეწარმე - ბიძინა ივანიშვილი ჰყავს, რომელმაც, სამების ულამაზესი საკათედრო ტაძრის მშენებლობაში, ჩვენს შორის უდიდესი წვლილი გაიღო და, ამასთანავე, თავმდაბლად აცხადებს, რომ ”სამების მშენებლობაში ზოგმა ლარი შესწირა და შეიძლება იმ დღეს პურიც ვეღარ იყიდა. იმას არანაკლები წვლილი მიუძღვის და არანაკლები მადლი გაუღია, ვიდრე მე” [2]. იმედის ნაპერწკალს აღვივებს მსოფლიოს უდიდესი ბირთვული ძალაუფლების ქვეყნების - აშშ-სა [3] და რუსეთის [4] ლიდერების განცხადებები, რომ ღრმა რწმენას ატარებენ და მხოლოდ არაფარისეველი რწმენა გადაარჩენს კაცობრიობას.

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკადემიკოს ვლ. პაპავასთან იმართება უაღრესად საჭირო პოლიტეკონომიური საუბრები, რომელშიც ეკონომიკის ქრისტიანულ საფუძვლებთან დაკავშირებით გამოვხატე ჩემი პოზიცია, რომ, წიგნიერებასთან ერთად, ასეთი დებატები განსაკუთრებით სასარგებლოა სასიკეთოდ შემაკავშირებელი ჭეშმარიტების დადგენისათვის - კარგი წიგნის მნიშვნელობა ხომ ძალზე დიდია, ასეთი კვალიფიციური დებატები კი მრავალ კარგ წიგნს უდრის.

მაცხოვარი სიკეთე-მოწყალებისაკენ მოგვიწოდებს, მაგრამ ზოგს შეიძლება არ ესმოდეს, რომ სწორედ აქ გვჭირდება განსაკუთრებული წინდახედულობა და ეკონომიკური ანაგარიშიანობა. არ არსებობს ნორმალური ოჯახი და საერთოდ ხალხი და რელიგია, რომლებიც ტერორიზმისაკენ მოუწოდებენ შვილებს, მაგრამ ტერორიზმის გამწვავების პერიოდში, ძალზე საგანგაშოა, რომ არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ მცდარ მოქმედებებს რელიგიის "კეთილი" მიზნებით ნიღბავენ და მეტი სიფრთხილეა საჭირო ამგვარი "სიკეთის" მკეთებლებთან და თავადაც სიკეთის უზომოდ გაღებასაც მოვერიდოთ. სიკეთესაც კი ზომიერება უნდა - თუ ერთ დაუმსახურებლად მომთხოვნზე (შესაძლოა, ტერორისტზეც) სიკეთეს მოთხოვნისამებრ დიდი მასშტაბებით გავცემთ, მრავალ სხვას შეიძლება მოვაკლოთ ასეთი ქმედებით. დაზოგვა, ეკონომია და აღმშენებლობა აუცილებლად უნდა დავუპირისპიროთ გაუაზრებელ მფლანგველობასა და მომხვეჭელობას.

შუა საუკუნეებიდან დაწყებული, პოლიტეკონომიისა და საერთოდ ეკომომიკური თეორიის ცნობილი მკვლევარების შრომებს თუ გავიხსენებთ [5-26], „უხილავი ხელის“ მოქმედება ყველაფერში ვლინდება - მ.შ., განსაკუთრებით, ინტერნეტის გაჩენის შედეგად, გლობალიზების ობიექტური კანონზომიერების თვალსაჩინოდ გამოვლენასა და საბაზრო წონასწორობის კანონებისა და ეკონომიკური ციკლების საყოველთაოდ მოწესრიგებულ (ბუნებრივ) მოქმედებაში, ცალკეულ რელიგიათა და შრომის ჩამოყალიბებული კულტურისა და ტრადიციების განვითარების განსაკუთრებულ გავლენაში მეურნეობრივ მოწყობასა და მწარმოებლურობაზე, ბიზნესის განვითარების შედეგად, ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივობისა და ხარისხის ციკლურ, მაგრამ, გრძელვადიანი სტრატეგიისათვის, განუხრელ გაუმჯობესებაში.

თუმცა, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა გავუსვათ ხაზი - ჭეშმარიტი რელიგიის ფასდაუდებელი ღვაწლი შეუფასებლად მოქმედებს ეკონომიკურ მოწყობაზე მსოფლიოს სხვადასხვა ეპოქასა და რეგიონში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რელიგიის ზოგიერთი სექტანტური გამოვლინება ბოროტად უნდა „საზრდოობდეს“ პოლიტიკასა და ეკონომიკაზე უხეში გავლენითა და ჩარევებით. და ერთიც, ხაზგასმით აღსანიშნავია ეკონომიკურად განვითარებული

ქვეყნების სამაგალითო ტრადიციაც მადლიერების გრძნობასა და ყოფილი ხელმძღვანელების ნაღვაწის სამაგალითოდ დაფასებასთან დაკავშირებით, რის დეფიციტსაც, სამწუხაროდ, მწვავედ განიცდიდნენ პოსტსაბჭოთა სივრცეში, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელმძღვანელს მომავალში დაუსჯელობის გრძნობა გაუჩნდეს და მას შეგნებულად ბოროტი მოქმედებებისათვისაც სამაგალითოდ არ მოეკითხოს.

ზოგ საკმაოდ გავლენიან მეცნიერულ მიმართულებას მსოფლიოში (მ.შ., განსაკუთრებით, ჩვენი საკვლევი ეკონომიკისა და ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, ისტორიისა და ანთროპოლოგიის მეცნიერულ ქვედარგებში) მოჩვენებით ავიწყდება ან ვერ ხედავს ადამიანისა და სამყაროს წარმოშობის ჭეშმარიტად ღვთისნიერ საწყისებს და მათი დაუსაბუთებელი და ხშირ შემთხვევაში სახიფათო ფანტაზიები მხოლოდ დაპირისპირებისა და ტერორის წისქვილზე ასხამს წყალს. ამმხრივ, განსაკუთრებული გულწრფელი მადლიერებით უნდა აღინიშნოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რომლის საპატიო წევრად არჩეულია უწმინდესი ილია II და აკადემიის თავკაცები და მათი შრომები [27; 28] ყოველთვის უშიშრად და ყოველმხრივ შესაძლოდ ქმედითად უწყობენ ხელს რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთსასარგებლო ურთიერთკავშირის პრაქტიკულად დამყარების საქმეს, რაც ნამდვილად სამაგალითო და ძალზე არსებითია.

წყაროები

1. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ (შემდგენელ-გამომცემელი გიორგი შიხაშვილი). - თბილისი, გეოკერია, 2004. - http://opac.library.ac.ge/eg/opac/record/133669?locg=209

2. ბიძინა ივანიშვილი სამების მშენებლობის შესახებ. - http://forum.ge/?f=29&showtopic=34447636

3. Obama on faith: The exclusive interview. - http://www.patheos.com/blogs/thedudeabides/obama-on-faith-the-exclusive-interview/

4. Кандидаты в Президенты РФ – о вере: Владимир Путин. - http://www.pravmir.ru/kandidaty-v-prezidenty-rf-o-vere-vladimir-putin/

5. Lloyd W., Sir William Petty: A Study in English Economic Literature http://socserv2.socsci.mcmaster.ca/~econ/ugcm/3ll3/petty/bevan.html;

Smith A. An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations, https://books.google.ge/books/about/An_Inquiry_Into_the_Nature_and_Causes_of.html?id=jH5bTCHDYTgC&source=kp_cover&redir_esc=y;

Smith A. The Theory of Moral Sentiments, http://www.earlymoderntexts.com/assets/pdfs/smith1759.pdf;

Walras L., Elements of Pure Economics. Irwin. ISBN 0-678-06028-2.

Weber M. "Die Protestantische Ethik und der 'Geist' des Kapitlismus," Archiv fur Sozialwissenschaft und Sozialpolitik 20(1904):1-54, 21(1905): 1-110.

Reisman D. Schumpeter's Market: Enterprise and Evolution. — Cheltenham, UK: Edward Elgar, 2004.

6. Христианство и экономика: дело не в «измах», http://www.pravoslavie.ru/45537.html

7. პაპავა ვ. რეფორმები და ფსევდორეფორმები. - თბილისი, ინტელექტი, 2015.

8. სილაგაძე ა. ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები; რედ.:გრიგოლ თოდუა. - თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2001.

9. ჭითანავა ნ. გულანთებულ ერისკაცებს არ ივიწყებენ // ცოტნეიდელი / ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია. - თბილისი-ფასიზი, 2014-2015. - ტომი VII, ფაზისის აკადემიის სამეცნიერო სესიების მასალები. - გვ.427

10. მესხია ი. საერთაშორისო ფინანსები. - თბილისი, უნივერსალი, 2012.

11. პავლიაშვილი ს. ქართულად მუშაობა და ევროპულად ცხოვრება არ გამოვა. - http://www.opentext.org.ge/index.php/index.php?m=12&y=2011&art=2629

12. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. - თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015.

13. ასათიანი რ. XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი. - თბილისი, სიახლე, 2015.

14. ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეჩბაია ბ., მესხიშვილი დ. თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები, თბილისი, უნივერსალი, 2011.

15. აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის 85 წლის იუბილესადმი მიძღვილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სექცია „მეცნიერება და რელიგია“, 2015.

16. ჩიქავა ლ. დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები, თბილისი, სიახლე, 2002.

17. ჯიბუტი მ. აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის გადაწყვეტის ხელშეწყობა ეკონომიკური ფაქტორების გამოყენებით, თბილისი, დიოსკურია, 2007.

18. მექვაბიშვილი ე. სახელმწიფო და ეკონომიკა, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995.

19. კაკაბაძე ვ., ამყოლაძე გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბილისი, 2000.

20. დალაქიშვილი ს. სალამატინა ნ. დემოგრაფიული დაბერების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში და მათი გადაწყვეტის გზების ძიება, თბილისი, აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები, 2015. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_medicine/nino_javakhishvili_100.pdf

21. გუგუშვილი პ. ეკონომიური ფორმაციებისათვის, ტფილისი, ტექნიკა და შრომა, 1933.

22. გუნია ა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, თბილისი, მეცნიერება, 1983.

23. ჩანტლაძე ვ. შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები, თბილისი, მეცნიერება, 1992.

24. გრიგოლაშვილი გ. ლოცვანი კრულებისა განხსნისათვის. ყოველთა განსვენებულთა ნათესავთათვის. მიტევებისათვის გუარის შეცოდებათა. თბილისი, უნივერსალი, 2014.

25. გაგნიძე ი. მართლმადიდებლობა და ეკონომიკა, თბილისი, უნივერსალი, 2007.

26. ჯანგულაშვილი დ., ჯავახიშვილი რ. გლობალიზაცია - მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი მიმართულება, მეცნიერება და ცხოვრება, 2013, N1.

27. Kvesitadze G., Kvesitadze E., (2008). Degradation of anthropogenic contaminants by higher plants. In: Complexity and Security. J.J. Ramsden and P.J. Kervalishvili (Eds.) IOS Press, Amsterdam, Berlin, Oxford, Tokyo, Washington, DC. 277-298 p.

28. მეტრეველი რ. საქართველოს მეფეები და პატრიარქები, თბილისი, არტანუჯი, 2010.

29. ლორთქიფანიძე რ. ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ, თბილისი, 2013, ISBN 978-9941-0-5303-0, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11421

30. ლორთქიფანიძე რ. გლობალური კონკურენცია ადამიანის ეფექტიანი გამდიდრებისათვის, თბილისი, 2014, ISBN 978-9941-0-6301-5, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29377

31. ლორთქიფანიძე რ. ეკონომიკური კონკურენციის ობიექტური კანონზომიერების გრაფიკული ინტერპრეტაციის შესახებ, თბილისი, 2015, ISBN 978-9941-0-8317-4 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/127171

32. რევაზ ლორთქიფანიძის შრომების შესახებ ინტერნეტ-ენციკლოპედია ვიკიპედიაში https://en.wikipedia.org/wiki/Revaz_Lordkipanidze

33. რევაზ ლორთქიფანიძის შრომების ელექტრონული ვერსიები საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“:

http://dspace.nplg.gov.ge/browse?type=author&value=%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94%2C+%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%96